



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/83

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2018 წ.


**სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 17 დეკემბრის №05-01/71 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:
  - 1.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტში გაუქმდეს უფროსი სპეციალისტის 0,5 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 250 ლარი;
  - 1.2 მეცნიერების დეპარტამენტს დაემატოს მთავარი სპეციალისტის 0,5 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 275 ლარი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბოკიძე